

## **ტესტის სახელწოდება**

ჰემატოკრიტი

### **ტესტის ალტერნატიული დასახელება**

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

### **რას იკვლევს მოცემული ტესტი?**

ჰემატოკრიტი ერითროციტების პროცენტული შეფარდებაა სისხლის მთლიან მოცულობასთან. შესაბამისად, მისი მაჩვენებელი დამოკიდებულია როგორც ერითროციტებზე, ასევე სისხლის საერთო მოცულობაზე.

### **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?**

ჰემატოკრიტის ტესტი სისხლის საერთო ანალიზის ნაწილია და ხშირად ინიშნება ისეთ ანალიზებთან ერთად, როგორებიცაა მაგალითად, ჰემოგლობინის ანალიზი და ერითროციტების საშუალო მოცულობა. ჰემატოკრიტის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს ზოგადი სამედიცინო შემოწმებისას, ან როდესაც პაციენტს აღენიშნება ანემიის, პოლიციტემიის ან ერითროციტებთან და ჰემოგლობინთან დაკავშირებული სხვა რომელიმე დაავადების ნიშნები.

### **როგორ კეთდება ეს ტესტი?**

ანალიზისთვის საჭიროა სისხლის აღება. სისხლს იღებენ ვენიდან ან თითის წვერიდან.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?**

მომზადება საჭირო არ არის.

### **შედეგების ინტერპრეტაცია**

ჰემატოკრიტის დაქვეითება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მათ შორის:

- რკინის დეფიციტი ან B12-ის დეფიციტი
- ანემიის სხვადასხვა ტიპი
- სისხლის ქრონიკული კარგვა
- ზოგიერთი ტიპის კიბო

ჰემატოკრიტის მომატება შეიძლება ახლდეს:

- პოლიციტემიას
- თამბაქოს მოხმარებას
- ფილტვების დაავადებებს
- გულის თანდაყოლილ დაავადებებს